ფარმაკოგნოზიის დეპარტამენტი

პროფესორი ლაშა მსხილაძე
დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ასოცირებული პროფესორი ანა ბოჭაძე

ფარმაკოგნოზიის დეპარტამენტი

ფარმაკოგნოზიის დეპარტამენტი სახელწოდებით - “ფარმაციისა და ფარმაკოგნოზიის კათედრა” დაარსდა 1919 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის ბაზაზე შექმნილ ფარმაცევტულ განყოფილებაში. მისი პირველი ხელმძღვანელი იყო აკადემიკოსი იოველ ქუთათელაძე (1921-1925). 1926 წლიდან ფარმაკოგნოზიის კათედრა დამოუკიდებელი ერთეული გახდა, რომელსაც ფარმაცევტული და სამედიცინო ინსტიტუტების დაქვემდებარებაში ხელმძღვანელობდნენ პროფესორი ედვარდ აბოლი (1926-1952), პროფესორი ვალერიან შოთაძე (1952-1962), პროფესორი ლინა ერისთავი (1962-1997), პროფესორი ჯუმბერ კუჭუხიძე (1997-2012), პროფესორი დავით ჭინჭარაძე (2012-2025).

2025 წლიდან ფარმაკოგნოზიის დეპარტამენტს ხელმძღვანელობს პროფესორი ლაშა მსხილაძე. ფარმაკოგნოზიის კათედრაზე სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ გამოჩენილი მეცნიერები და პედაგოგები: ფარმაციის მაგისტრი კ. ბახტაძე, პროფ. ზ. ყანჩაველი, აკად. დ. სოსნოვსკი, პროფ.თ. კეზელი, დოც. ბ. ბაქრაძე, დოც. თ. კაჩუხაშვილი, დოც. დ. კავკასიძე-ვირსალაძე, უფრ.მასწ. ნ.გავაშელი, დოც ლ. კვიტაიშვილი და სხვ.

2006 წელს ფარმაკოგნოზიის კათედრას ეწოდა ფარმაკოგნოზიის დეპარტამენტი, 2009 წლიდან - ფარმაკოგნოზიისა და ბოტანიკის დეპარტამენტი, 2016 წლიდან ფარმაკოგნოზიისა და ფარმაცევტული ბოტანიკის მიმართულება, ხოლო 2025 წლიდან ფარმაკოგნოზიის დეპარტამენტი. ფარმაკოგნოზიის დეპარტამენტში ისწავლება ძირითადი დისციპლინები: ფარმაკოგნოზია 1 და 2, ფარმაკოგნოსტური ანალიზი, არჩევითი დისციპლინა ფიტოთერაპია. აღნიშნული სასწავლო კურსები ხორციელდება როგორც ქართულ ასევე ინგლისურ ენაზე.

ფარმაკოგნოზიის დეპარტამენტებში სასწავლო პროცესთან ერთად წარმატებით მიმდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები. მეცნიერული კვლევის ძირითადი მიმართულება იყო და ამჟამადაც რჩება საქართველოს ფლორის მცენარეთა კვლევა ახალი სამკურნალწამლო საშუალებების შექმნის მიზნით.